

ნაშრომი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ფორმალურ მოთხოვნებს:

- ა) საკონკურსო ნაშრომის მოცულობა არ უნდა იყოს A4 ზომის 25 გვერდზე მეტი ტექსტის შრიფტი – ”ცად უსხ”, ზომა 12, სათაურების და ქვესათაურების ზომა – 14-16, სტრიქონებს შორის მანძილი – 1.5, გვერდის ველები ყველა მხრიდან 2 სმ.
- ბ) აბზაცები ერთმანეთისაგან გამოიყოფა თითო სტრიქონის გამოტოვებით, ამასთან, ყველა სტრიქონის დაშორება მარცხენა ველიდან თანაბარი უნდა იყოს.
- გ) ნაშრომის სტრუქტურაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი კომპონენტები:
 - თავფურცელი – ნაშრომის პირველი გვერდი
 - შესავალი – ნაშრომის ზოგადი ნაწილია, რომელშიც უნდა აისახოს დამუშავებული თემის აქტუალობის დასაბუთება, დასმული ამოცანა (ამოცანები); საკვლევი საგანი და გამოყენებული მეთოდები და მისთ.
 - ტექსტის ძირითადი ნაწილი – შეიძლება დაიყოს თავებად და პარაგრაფად;
 - დასკვნა – უნდა ასახავდეს ნაშრომის შედეგებს;
 - ბიბლიოგრაფია – წარმოდგენილ უნდა იქნეს ნაშრომის ბოლოს ანბანური თანმიმდევრობით. ჯერ გამოცემები ქართულ ენაზე, ხოლო შემდეგ – უცხოურ ენებზე. ნუსხაში უნდა მიეთითოს:

წიგნის ან მონოგრაფიის გამოყენების შემთხვევაში:

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალი
- გამოცემის წელი
- სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ადგილი
- გამომცემლობა

მაგ.: შენგელია გ. 2003. *საქართველოს ისტორია*. თბილისი: განათლება.

პერიოდული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში

- ავტორის (ავტორების) გვარი და ინიციალი
- გამოცემის წელი
- ნაშრომის სახელწოდება
- სამეცნიერო ჟურნალის სახელწოდება (დახრილი შრიფტი)
- ტომის ნომერი ან გამოცემის თვე
- გამოცემის ნომერი ან გამოცემის თვე
- გვერდები, რომელზეც განთავსებულია ნაშრომი

მაგ.: შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია*, 15 (21), 12-15.
 შენგელია გ. 2003. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. *კავკასია*, იანვარი, 12-15.

ინტერნეტის გამოყენების შემთხვევაში:

- მასალის ავტორი
- ვებ-გვერდის ავტორი
- მასალის დასახელება. ლინკის დასახელება (დახრილი შრიფტით)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი (იწერება ფრჩხილებში)

მაგ.: ბრაუნი ტ. *ბრიტანეთის სამართლის საფუძვლები*. ზოგადი განათლება. www... (15.02.2005).

ელექტრონული გამოცემის გამოყენების შემთხვევაში:

- სტატიის ავტორი (გვარი,ინიციალები)
- გამოცემის წელი
- სტატიის დასახელება
- ელექტრონული გამოცემის დასახელება (დახრილი შრიფტი)
- გამოცემის ნომერი
- თავი,პარაგრაფი (იწერება ფრჩხილებში)
- ვებ-გვერდის მისამართი
- მასალის მოძიების თარიღი

მაგ.: კოილი მ. 2003. თავისუფლების აქტის ისტორია. *ვეროპის ფორუმი* 3(5). www... (15.06.2003).

სახელისუფლებო დოკუმენტების გამოყენების შემთხვევაში:

- ქვეყნის დასახელება
- უწყების დასახელება,რომელსაც ეკუთვნის დოკუმენტი
- წელი გამოცემისა,სადაც მოძიებულ იქნა მითითებული დოკუმენტი
- დოკუმენტის სახე (ბრძანება,კანონი...)
- დოკუმენტის დასახელება შესაბამისი საიდენტიფიკაციო ნომრისა და წლის მინიშნებით
- ადგილი იმ გამოცემისა,რომელშიც მოძიებულია მითითებული დოკუმენტი
- გამოცემის დასახელება,რომელშიც მოძიებული იქნა მითითებული დოკუმენტი

მაგ.: საქართველო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. 2005. მინისტრის ბრძანება: ცვლილებების შესახებ... (639,5,09.2005). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე №115.

დ) ბიბლიოგრაფია რეფერატს ბოლოს უნდა დაერთოს იმ თანმიმდევრობით,რომელიც მოცემულია ამ დანართში მაგალითების განხილვის დროს, ამასთან, ჯერ უნდა მიეთითოს ქართულენოვანი წყარო, შემდეგ – უცხოენოვანი.

ე) ტექსტში,გამოყენებული წყარო,უნდა მიენიშნოს შემდეგნაირად: ციტატის ბოლოს, ფრჩხილებში, იწერება დასახელებული წყაროს რიგითი ნომერი თანდართული ნუსხის მიხედვით და გამოიყოფა მძიმით. შემდეგ კი მიეთითება გვერდები,საიდანაც აღებულია ციტატა ან თეზისი. მაგ.: (15,150-161).

ვ) ნაშრომი აკინძულ უნდა იქნეს შემდეგი თანმიმდევრობით:

- თავფურცელი
- სარჩევი
- შესავალი
- ტექსტის ძირითადი ნაწილი
- დასკვნა
- ბიბლიოგრაფია

ზ) ნაშრომის პრეზენტაციის რეგლამენტი განისაზღვრება არაუმეტეს 15 წუთით.

თ) დაცვის პროცესში ავტორს შეუძლია საილუსტრაციო მასალის გამოყენება.